

# ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების B1 დონისთვის საჭირო მოთხოვნები და აღწერილობა

ნანა შავთვალაძე

საქართველოს უნივერსიტეტი

e-mail: n.shavtvaldaze@ug.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2023.30.19>

უდავოა, რომ ენების საერთო ევროპული ჩარჩო (CEFR-Common European Framework Reference) ენათა დონის დასადგენად ზუსტი წარმართველია. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ენებს, რომლებიც ისწავლება როგორც უცხო ენა, როგორც მეორე ენა. ევროპის საბჭოს მიერ დადგენილი ინსტრუმენტები გადამწყვეტ როლს თამაშობს ასეთი ტიპის ენათა სწავლებაში. უპირველესად ენის სწავლებისას მნიშვნელობა ისევ იმ ოთხ მთავარ უნარს - კითხვა, წერა, ლაპარაკი, მოსმენა - ენიჭება. კომუნიკაციური მიდგომა განმსაზღვრელია და მის ირგვლივ ენათა შედგენილობის მიხედვით დგინდება საჭირო გრამატიკული ჩარჩოები, დონის მიხედვით გაწერილი თემები კი თავისი ლექსიკით, ფრაზებითა და კომპოზიტების საშუალებით ლაგდება დონის მოთხოვნისა და შესასრულებელი ვალდებულების მიხედვით.

გაიყოს ან დანაწევრდეს ქვედონეებად, ანუ თითოეულ დონეს ჰქონდეს ზედა და ქვედა ზღვარი. ხანდახან ზედა დონე + პლიუსი ნიშანითაცაა ასახული. ამ საკითხის ისტორიას უკვე გავეცანით წინა სტატიაში და ახლა ჩვენთვის საინტერესოა, როგორია მიდგომა, შიგთავსი, მიზანი, გრამატიკული ბადე, ტექსტების ტიპი, ტესტების კონსტრუქცია შემდგომ დონეზე.

CEFR აერთიანებს ყველა ამ მიღწევას, რომლებიც მან შეიმუშავა უცხო ენების დაუფლების აღწერილობის, კომპეტენციისა და ქვეკომპეტენციის ტიპების მიხედვით. CEFR-ში მითითებული სპეციფიკაციები შესაძლოა ძალიან ზოგადი იყოს, მაგრამ მათი გამოყენების - ველი ფართო. დესკრიპტორები აკონტროლებენ თითოეული უნარის პროგრესულად დაუფლებას, რომელიც ფასდება გაწერილი სკალით.

სახელმძღვანელოების ავტორებისთვის, მასწავლებლებისთვის, სხვა პროფესიონალებისთვის ეს ყველაფერი საინტერესო და სიახლის მომცველია. ჩვენთვის საყურადღებოა, რომ ქართულის, როგორც უცხო ენის B1 დონის სახელმძღვანელო არ გვაქვს ბევრი. ორგანიზაცია „სემიტა.ენის სკოლა“ უკვე 2008 წლიდან წარადგენს საზოგადოებისთვის B1 დონის სერიას და ახლახან გამოვიდა მესამე გამოცემა - „ბილიკი 2 სახელმძღვანელო“. საყურადღებოა მისი აგებულება, შიდასტრუქტურა და თუ როგორ წარმოიჩნდება მასში ეს მახასიათებლები.

საკვანძო სიტყვები: მეორე ენა, კომუნიკაციური მიდგომა

უდავოა, რომ ენების საერთო ევროპული ჩარჩო (CEFR-Common European Framework Reference) ენათა დონის დასადგენად ზუსტი წარმართველია. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ენებს, რომლებიც ისწავლება როგორც უცხო ენა, როგორც მეორე ენა. ევროპის საბჭოს მიერ დადგენილი ინსტრუმენტები გადამწყვეტ როლს თამაშობს ასეთი ტიპის ენათა სწავლებაში. უპირველესად ენის სწავლებისას მნიშვნელობა ისევ იმ ოთხ მთავარ უნარს - კითხვა, წერა, ლაპარაკი, მოსმენა - ენიჭება. კომუნიკაციური მიდგომა განმსაზღვრელია და მის ირგვლივ ენათა შედგენილობის მიხედვით დგინდება საჭირო გრამატიკული ჩარჩოები, დონის მიხედვით გაწერილი თემები კი თავისი ლექსიკით, ფრაზებითა და კომპოზიტების საშუალებით ლაგდება დონის მოთხოვნისა და შესასრულებელი ვალდებულების მიხედვით.

გამოყენების ველი ფართოა. დესკრიპტორები აკონტროლებენ თითოეული უნარის პროგრესულად დაუფლებას, რომელიც ფასდება გაწერილი სკალით. სახელმძღვანელოების ავტორებისთვის, მასწავლებლებისთვის, ტესტის შემდგენლებისთვის სხვა პროფესიონალებისთვის ეს ყველაფერი საინტერესოა, სიახლის მომცველია. ჩვენთვის საყურადღებოა B1 დონის სახელმძღვანელო, მისი აგებულება და შიდასტრუქტურა და თუ როგორ წარმოჩნდება მასში დონის შესაფერისი მახასიათებლები, რადგან A1 და A2 დონეებზე უკვე ვისაუბრეთ.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, გავერკვეთ, სად მთავრდება A1, A2 და სად იწყება B1 დონე ჩვენი ენის სისტემიდან გამომდინარე. რა უნდა შედიოდეს მასში და რას უნდა მოიცავდეს B1 დონე, თუმცა ეს განსაზღვრულია ქართული ენის ფლობის დონეების ზოგად აღწერილობაში. თითქოს ყველაფერი გასაგებია, არსებობს CEFR – ის ენების საერთო ევროპული ჩარჩო, ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა, მაგრამ მაინც ბევრი საკითხია შესაჯერებელი, გასაანალიზებელი სწავლების, სახელმძღვანელოების შედგენისა და დონის დასადგენი ტესტის შედგენის დროს. კონკრეტულად რას უნდა მოიცავდეს B1 დონე, რა უნდა შედიოდეს მასში, რა ტიპის გრამატიკულ ფორმატს უნდა ფარავდეს შემსწავლელი, როგორ მეტყველებდეს და როგორი დონის წერილობით მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. ეს ყველაფერი ჩამოწერილი და გაწერილია ზოგადად, როგორც ვთქვით, საერთო ევროპულ ჩარჩოში, ენის დონეების ზოგად აღწერილობაში და ასევე ქართული ენის სამმართველოს მიერ წარმოდგენილ ვებგვერდზე ([www.geofl.ge](http://www.geofl.ge)), მაგრამ კონკრეტულად თითოეული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე მაინც დგინდება სხვადასხვა საკითხი, კონკრეტული ამოცანა, ენის ფუნქციის, სტრუქტურის მიხედვით მიდგომების გამოყენების არეს განსაზღვრა.

ოთხი უნარი განმაპირობებელია, ამ ოთხი უნარიდან სწავლებისას წინ ყოველთვის მოდის კომუნიკაციური უნარი - ის მაინც უპირატესია, რადგან ენა ადამიანთა შორის ურთიერთობისას უმნიშვნელოვანესია. თუ ა1 და ა 2 ენის ფლობის ელემენტარული დონეს ასახავს, უკვე B1 დამოუკიდებლად ფლობის დონედაა ჩათვლილი B2 დონესთან ერთად. + პლიუსი დონე კი რომელიმე დონის გაძლიერებულ მასალად ფასდება.

საინტერესო ფაქტია მოყვანილი (<https://rm.coe.int/16805c3896>) შვეიცარიის კვლევითი პროექტის შესახებ, როცა გამოავლინეს კრიტერიუმის დონე A2-ისთვის და კრიტერიუმის დონე B1-ისთვის. აღმოჩნდა, ის იყო აღწერილი იყო, როგორც „პლუს დონე“. იგივე იყო B1 და B2 (B1+) და B2 და C1 (B2+) შორის. ეს „პლუს დონეები“ ხასიათდებოდა უფრო ძლიერი შესრულებით იმავე მახასიათებლებთან მიმართებაში. B1 დონის კონცეფცია ძალიან სასარგებლოა, რადგან ვიწრო დონეები საშუალებას აძლევს შემსწავლელებს თვალნათლივ დაინახონ წინსვლა.

B1 ზღვრული დონეა ([www.geofl.ge](http://www.geofl.ge)), ბარიერის დონედაა დასახელებული CEFR-ის მიხედვით, ორი განსაკუთრებული მახასიათებლით: ურთიერთქმედების შენარჩუნება და ყოველდღიურ ცხოვრებაში პრობლემებთან ყოჩაღად გამკლავება. ურთიერთქმედების შენარჩუნება - რისი გაკეთებაც სურს შემსწავლელს, უნდა შეძლოს. მაგალითად, მეგობრებთან საუბრისას პირადი შეხედულებებისა და მოსაზრებების გამოთქმა მეგობრებთან არაფორმალურ დისკუსიაში; გასაგებად გამოხატოს მთავარი აზრი, რომლის თქმაც სურს; გააგრძელოს საუბარი, არ შეუშინდეს გრამატიკულ შეცდომებს და ლექსიკის არცოდნას, იპოვოს ადვილი გზები აზრის გადმოსაცემად.

აგრეთვე, უნდა შეძლოს ყოველდღიურ ცხოვრებაში პრობლემების ყოჩაღად მოგვარება, უმეტეს სიტუაციებთან გამკლავება, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მოგზაურობის, რეალურად ქუჩაში ხეტიალისას; წინასწარ მომზადების გარეშე შეძლოს საუბრები ნაცნობ თემებზე; საჩივრის განაცხადის გაკეთებაც (CEFR).

B1 დონე ენის დამოუკიდებლად ფლობას განსაზღვრავს. ეს მართლაც არის ენის ფლობის ის დონე, როდესაც შემსწავლელს შეუძლია საუბარში უფრო აქტიურად მონაწილეობა და საკუთარი თავის შედარებით თავდაჯერებულად წარდგენა.

სწავლებისთვის უმთავრესია კომუნიკაციური კომპეტენციები როგორც ზრდასრულ, ასევე მოზარდ შემსწავლელთათვის; განმსაზღვრელია ტექსტის ტიპები; ტექსტები თანამედროვე მეთოდოლოგიური ხედვით მიიჩნევა, რომ უნდა იყოს ავთენტური, ანუ რეალური. ძალიან რთულია B1 დონეზე არსებული, რეალური, ცოცხალი ლექსიკის მთლიანად აღქმა. ერთი და იმავე სიტყვის, ფრაზის დამახსოვრება, ათვისება ხდება მხოლოდ ოცდათხუთმეტჯერ გაგონილი სხვადასხვა სიტუაციაში. ეს, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია შემსწავლელის ენობრივ ინტუიციასა და აღქმაზეც.

ტექსტები, რომლებიც მიზნობრივად გათვლილია კონკრეტული გრამატიკული თუ ლექსიკური მასალის ათვისებაზე, კარგად მუშაობს. ვფიქრობთ, ასეთი გაჯერებული, გამზადებული მოდელი სტუდენტს ეხმარება შეიქმნას წარმოდგენა აღნიშნულ თემაზე, სიტუაციაზე, გაიაქტიუროს სამეტყველო ბაზა და შემდეგ მიზნობრივად გამოიყენოს. ავთენტური ტექსტების გამოყენებაც აუცილებელია სწავლების ფორმატში, რადგან ისინი ავითარებენ - აზრის გაგებასა და მოსმენილის აღქმას - ამ უნარს.

ქართული ენის, როგორც უცხო ენის შესწავლას ბევრმა მეცნიერმა მოჰკიდა ხელი, ამ საშვილიშვილო საქმეს. დაიწერა სახელმძღვანელოები და მათი ძირითადი საფუძველი სწორედ „ქართული ენის დონეების აღწერილობა“ გახლდათ. სერია „ბილიკი“ ([www.lsgorgia.com](http://www.lsgorgia.com)), რომელიც მოიცავს დონეების მიხედვით სახელმძღვანელოებს, ეყრდნობა ამავე აღწერილობას, თუმცა პირველი დონის წიგნი (A1 და A2) გამოიცა 2005 წელს, აქ გათვალისწინებულია თავად ევროპული ჩარჩო, მაგრამ შემდეგი დონეებისთვის ძალიან ხელსაყრელი იყო ამ აღწერილობის გამოყენება. ამჯერად, B1 დონის სახელმძღვანელო პირველად 2008 წელს გამოიცა და ახლახან, 2023 წლის 30ნოემბერში, გამოვიდა მესამე გამოცემა - „ბილიკი II - სახელმძღვანელო“.

სერია „ბილიკში“ მეთოდური მიდგომები სისტემურია, თემატურადაა გაწერილი საკითხები და ლოგიკური ჯაჭვით მიჰყვება გრამატიკა - ლექსიკის საკითხები. სიხშირის დადგენა უპირატესია. გამოყენებულია როგორც კომუნიკაციური, ასევე ნაწილობრივ გრამატიკულ-მთარგმნელობითი მიდგომა. ოცდახუთწლიანი გამოცდილება და ქართული ენის სირთულე გვაძლევს იმპულსს, რომ ახსნილი და შესასწავლი მასალა B1 დონეზე იყოს ზედმიწევნით გასაგები. ჩვენი შემსწავლელები, მათ ნასწავლი და მხოლოდ ნაცნობი ლექსიკა ხვდებათ, ანუ რასაც გავცემთ, იმავეს ვითხოვთ უკან დასაბრუნებლად; პროდუცირების ლექსიკასა და ფრაზებზე აქტიურად ვამუშაოთ, რეცეფციას კი თავად გამოიმუშავენ. მომდევო დონის დაუფლებისას კი აქტიურად ვიყენებთ როგორც პროდუცირების, ასევე - რეცეფციისთვის საჭირო ლექსიკას კითხვისა და მოსმენის სავარჯიშოებში.

ევროჩარჩოს მიხედვით B1 დონის აღწერილობაში დადასტურებულია, რომ ინგლისური ენისთვის საკმარისია 300 საათი სწავლება, რომ შემსწავლელმა მიაღწიოს ინგლისური ენის B1 დონეს (CEFR).

სერია „ბილიკი“ აგებულია მეთოდური ჩარჩოს მიხედვით, გათვალისწინებულია ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები, სტრატეგიები, გამოყენებულია პრინციპი - მარტივიდან რთულსკენ. მას უკვე აქვს A1.A2.B1.B2. სახელმძღვანელოები მოსასმენ მასალასთან ერთად. თითოეული დონე შედგება: სახელმძღვანელოს (მოსასმენი მასალით), სამუშაო რვეულისა და საკითხავი მასალისაგან. აგრეთვე, დაწერილია C1. დონის სახელმძღვანელო, რომელსაც დაბეჭდვამდე რამდენიმე სტუდენტი გამოცდის, გამოთქვამს თავის აზრს, დაეხმარებიან სახელმძღვანელოს დახვეწასა და სრულყოფაში.

ფაქტობრივად, CEFR -ისა და „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგად აღწერილობას“ მისდევს სახელმძღვანელოების სერია „ბილიკი“. ყველა დონე ეყრდნობა ოთხ უნარს: მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა. სახელმძღვანელოში გააქტიურებულია ყველა ტიპის ტექსტი; თემატურადაა მიწოდებულია ლექსიკა; ფრაზები; მოსასმენი დიალოგები; გრამატიკა; საჭირო ცხრილები მასალის უკეთ და მარტივად აღსაქმელად.

ბილიკი B1 -ის სახელმძღვანელო შედგება შემდეგი თექვსმეტი კარისგან: ყოფილხართ საქართველოში? ერთი ოჯახის ცხოვრება; ავეჯი; ტანსაცმელი; შინაური ცხოველები;

მუზეუმები; ერთი დღე; საკანცელარიო ნივთები; შეკვეთები; სასტუმროს დაჯავშნა; მანქანის შეკეთება; ზღვაზე; აბრები და საგზაო ნიშნები; ტრადიციული სუვენირები; თავის მოწესრიგება; ხასიათები და უნარები.

სახელმძღვანელოს ახლავს ოთხი ტესტი; ყოველი ოთხი კარის შემდეგ მოცემულია ტესტი, რომელიც ამოწმებს შემსწავლელის ლექსიკისა და გრამატიკის ცოდნას კონკრეტული ოთხი თავისა. ტესტებს ახლავს პასუხები. ლექსიკისა და ფრაზების ცოდნა მყარდება „საკითხავი მასალით“, რომელშიც გააქტიურებულია თითოეული კარში წარმოდგენილი ლექსიკა დიალოგების სახით.

ბილიკი B1-ის სახელმძღვანელო ფარავს შემდეგ გრამატიკულ კატეგორიებს:

**უარყოფითი ნაცვალსახელი:** არაფერი/ვერაფერი/ნურაფერი

**განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი:** ვინმე, რამე...

**დაბოლოება:**-ობით, - ებული,

**თანდებული:** -გან, -ვით, -გამო, -გარდა, მიხედვით, ნაცვლად, მაგივრად

**სუფიქსი:** -ულ, - ინდელ, -იან

**პრეფიქს-სუფიქსი:** უ-ო

**ზმნები:** I, II და III ჯგუფი: თამაში, ცხოვრება, სწავლა, ლაპარაკი, მუშაობა, კეთება, ყიდვა, სიმღერა, მომზადება, დაპატიჟება, გატარება, წერა, ნადირობა, წაღება, წაყვანა, მოტანა, მოყვანა, მოვლა, დარეკვა, გაუთოება, გარეცხვა, დალაგება, გადახდა, ნდობა, ყოლა, ქონა, სიყვარული, მოწონება, გონება, შეძლება, სიხარული, დაფასება, შეგროვება, პოვნა, მიძებნა, დატკობა, დამშვიდობება, გაბრაზება, მომსახურება, გათბობა, დაინტერესება, ადგომა, დაჯდომა, დაწოლა, დაწყობა, დამთავრება, დაბრუნება, დაძინება, გაღვიძება, გადაღება, დაბეჭდვა, გაჭედვა, გაფუჭება, თარგმნა, მოსმენა, ყურება, შეკვეთა, შეტყობინება, ჩვენება, მოხერხება, დაგვიანება, დატოვება, დაჯავშნა, გაკეთება, გაგიჟება, დამშვიდება, გამწვანება, რთულება, გამარტივება, გაფართოება, დავიწროება, აწითლება, გაღარიბება, გამდიდრება, ჭორაობა, ეჭვიანობა, კეკლუცობა, გრძნობა, ხუმრობა, ნერვიულობა, სინანული, სიჩქარე, წვალება, ქირაობა, გაგება, მიღება, გარეცხვა, გახეხვა, გაპარსვა, შეკვრა, ჩაცმა, წასმა, გახდა, დასხმა, სიცილი, ღიმილი, ტირილი, ჩივილი.

**გვარი:** მოქმედებითი, ვნებითი.

**ზმნიზედა თანდებულის ფუნქციით:** ქვეშ

**უარყოფითი ნაწილაკი:** არც..., არც, აღარ, ვეღარ, ნულარ

**მწკრივები:** I თურმეობითი I/III/IV ჯგუფის ზმნებთან, უწყვეტელი II ჯგუფის ზმნებთან

**კავშირი:** ვინც, რაც, რომელიც, თუ, ან, ან...ან, სადაც, რომ

**ნაწილაკი:** უნდა, იქნებ, ნუ, ხომ, ხომ არ

რთული წინადადება: ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებით, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით, მიზეზის/მიზნის დამოკიდებული წინადადებით.

ამგვარად, B1 დონის უცხო ენის შესწავლისას ჩვენ მიმოვიხილეთ ევროპული ჩარჩოს (CEFR), „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობისა“ და ენის ფლობის მიხედვით; ასევე, წარმოგიდგინეთ სერია „ბილიკის“ B1 დონის შედგენილობა, რომელსაც შემსწავლელი ამ დონეზე გაჰყავს. ჩვენი გამოცდილება დადასტურებულია ევროპასა და აშშ დიპლომატიურ ცენტრებში შემსწავლელის მიერ მითითებულ დონეზე წარმატებით ჩაბარებული გამოცდებით.

### ლიტერატურა:

ბრძანება 46/ნ (2019 წ. 6 მარტი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სტანდარტები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ქართული ენის სამმართველო  
<http://www.geofl.ge/lego/doneebiLevel.php?parent=56>

ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ივნისის №394-ე დადგენილება: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4908418?publication=0>

შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე II, B1. „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მესამე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2023 (2019, 2014, 2012, 2006).

შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე II, B1. „სამუშაო რვეული“, მესამე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2023 (2017, 2011).

შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“, სერია „ბილიკი“. დონე II, B1. „ქართული დიალოგები“. საკითხავი მასალა. პირველი გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2014.

<https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions>  
<https://rm.coe.int/georgian-reference-level-descriptions-a1-a2-b1-b2-cefr/168077b6f5>

Nana Shavtvaladze  
University of Georgia

### Requirements and Description for Teaching Georgian as a Foreign Language at the B1 Level

#### Abstract

There is no doubt that the Common European Framework Reference (CEFR) serves as a precise guide for assessing language proficiency levels, particularly for languages taught as foreign or second languages. Instruments devised by the Council of Europe play a decisive role in the instruction of such languages. Emphasis is primarily placed on the four essential language skills: reading, writing, speaking, and listening, with a communicative approach being paramount. Surrounding this approach, grammatical frameworks are established, aligning with the linguistic composition, and topics are



organized at various levels, incorporating vocabulary, phrases, and compositions in accordance with the respective level's requirements and obligations.

The six levels of the language assessment system - A1, A2, B1, B2, C1, C2 - can be subdivided, with each level having both an upper and lower limit. Occasionally, the upper level is denoted by a + plus sign. We have already delved into the history of this topic in the previous article, and now we are keen to understand the approach, content, purpose, grammatical structure, types of texts, and test construction at the subsequent level.

The CEFR consolidates all these advancements, developed based on the description of foreign language acquisition, types of competence, and sub-competence. The specifications outlined in the CEFR may be quite general, but their application field is extensive. Descriptors monitor the progressive mastery of each skill, evaluated on a scale.

For authors, teachers, and other professionals, all of this is interesting and innovative. It's noteworthy for us that there aren't many B1 level textbooks for Georgian as a foreign language. Since 2008, the organization "Semita Language School" has been introducing the B1 level series to the public, and recently, the third edition - "Biliki 2 Student's Book" - was released. Its construction, internal structure, and how these features manifest within it are noteworthy.

**რეცენზენტი:** პროფესორი მანანა მიქაძე